N გ-21-03/129
25/01/2021

129-გ-21-03-2-202101251829

შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს
ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივს“
შპს ,,ფორმულას“
შპს ,,მთავარ არხს“
შპს ,,ტელეკომპანია პირველს“

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2020 წლის 28 იანვარს, 15:00 საათზე გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) მოსამზადებელი სხდომა, სადაც განიხილება შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის, შპს ,,ფორმულის“, შპს ,,მთავარი არხის“, შპს ,,ტელეკომპანია პირველის“ და ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის“ წინააღმდეგ ფიზიკური პირების ა. შატბერაშვილის, გ. გოცირიძის, ბ. წულაიას და გ. გუდაძის საჩივრის განსახილველად მიღების საკითხი (საფუძველი: მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის გვანცა ჩხეიძის მიმართვა (N21-10-45, 22.01.2021); საჩივარი (Nშ-21-9/207, 22.01.2021).

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@gncc.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და

გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა ან უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გატყობინებთ, რომ დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება.

დანართი:

1. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის გვანცა ჩხეიძის მიმართვა (N21-10-45, 22.01.2021).
2. საჩივარი თანდართული მასალით (Nშ-21-9/207, 22.01.2021).

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია